შპს „მშენ-ექსპერტი +“

A – ტიპის ინსპექტირების ორგანო

მის: ქ. თბილისი, გულარეხის შესახვევი №23

ტელ.: (+995) 595-95-25-22

ს/კ 406304896

GAC – IB – 0350

სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013

აკრედიტაციის მოწმობის №:GAC-IB-0350
ინსპექტირების ანგარიშის №: FT-160/06/21-I160
გაცემის თარიღი: “29” 06 2021 წელი
ინსპექტირების თარიღი: 14.06÷29.06.2021 წელი

ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიკაცია:

ქ. თბილისი, მის.: საირმის ქ. №51-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის IV ბლოკის დაშენების პროექტი

პატივისცემით,
დირექტორი _____ ა. ჭიპაშვილი

ინსპექტირების ანგარიში
(ექსპერტიზის დასკვნა)

დამკვეთის იდენტიფიკაცია:	შპს „აქსის გრუპი“ ს/კ 404954117 დირექტორი: თემურ ჭოხონელიძე
ანგარიშის შედგენის საფუძველი:	განაცხადი №160/06/21-I160 (14.06.2021 წ) ხელშეკრულება №C-160/06/21-I160 (14.06.2021 წ)
ინსპექტირების სფერო:	პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება
ინსპექტირების ამოცანა:	ქ. თბილისი, მის.: საირმის ქ. №51-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის IV ბლოკის დაშენების პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ინსპექტირება.

თბილისი
2021 წელი

შემადგენლობა

1. ინსპექტირების შემსრულებლები 3
2. ინსპექტირებისათვის წარმოდგენილი მასალები 3
3. გამოყენებული ნორმატიული დოკუმენტები 3
4. კვლევითი ნაწილი 5
5. დასკვნა 9



ინსპექტირების შემსრულებლები

ინსპექტირების შემსრულებლები ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელის მიერ გაფრთხილებული და პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლობლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ინსპექტორი: ***ალექსანდრე ნატროშვილი*** _____

წარმოდგენილი მასალები

1. პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილი (6 ალბომი: "საძირკვლები"; "სვეტები"; "რიგელები", "გადახურვები", "კიბეები", "გაზლიერების ღონისძიებები" და მათი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში);
2. პირვანდელი პროექტის (დაშენების გარეშე) კონსტრუქციული ნაწილი;
3. კონსტრუქციული საანგარიშო მოდელი და გაანგარიშება დაშენების გათვალისწინებით (ელ. ვერსია, საანგარიშო პროგრამულ კომპლექსში Lira-Sapr);
4. სამშენებლო მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. (2 ალბომი: "საინჟინრო გეოლოგიური კვლევა", "IV ბლოკის უბანზე გეოლოგიური ჭრილის კორექტირება);
5. პროექტის არქიტექტურული ნაწილი (1 ალბომი და მისი შესაბამისი ელექტრონული ვერსია pdf ფორმატში).

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. პროექტირების ნორმები, პნ 03.01-09 – "ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები";
2. პროექტირების ნორმები, პნ 01.01-09 – "სეისმომედეგი მშენებლობა";
3. პროექტირების ნორმები, პნ 02.01-08 – "შენობებისა და ნაგებობების ფუძეები";
4. პროექტირების ნორმები, პნ 01.05-08 – "სამშენებლო კლიმატოლოგია";
5. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП 2.01.07-85 – დატვირთვები და ზემოქმედებები;
6. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-23-81* – ფოლადის კონსტრუქციები;
7. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-28-73 – სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან;
8. СНиП III-4-80 – "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში";
9. MEP-TP-G06.1 – ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

კვლევითი ნაწილი

ინსპექტირებაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში, საირმის ქ. №51-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის IV ბლოკზე დაშენების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული სამშენებლო-საპროექტო კომპანია „აქსისი“-ს მიერ (მთ. კონსტრუქტორი: ა. ბეროშვილი). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია შპს „საქქალაქმშენპროექტი“- ს მიერ (საინჟინრო-გეოლოგიური განყ. უფროსი: ს. სირაძე, ინჟინერ-გეოლოგები: გ. ზაგაშვილი, ბ. შუსტოვი).

დაშენებას დაქვემდებარებული შენობის თავდაპირველი პროექტი შესრულებულია ასევე სამშენებლო-საპროექტო კომპანია „აქსისი“-ს მიერ (მთ. კონსტრუქტორი: ა. ბეროშვილი) და შეთანხმებულია ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის მიერ 2018წ. 24 მარტის ბრძანებით №3863823. დაშენების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მოიცავს როგორც კორექტირებებსა და დამატებებს, ასევე პირვანდელი პროექტის გარკვეულ ნაწილს უცვლელი სახით.

ქ. თბილისში, საირმის ქ. №51-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის IV ბლოკი გეგმაში მართკუთხა ფორმისაა. მისი ზომები ღერძებში 24.5X36.5 მ-ია. შენობას გააჩნია 2 სარდაფის სართული.

პირვანდელი პროექტით შენობის სართულიანობა შეადგენდა 22-ს, დამატებით ორი სარდაფის სართულით, ანუ სართულების საერთო რაოდენობით – 24. 22-ე მიწისზედა სართულის თავზე, კიბის უჯრედის ფარგლებში, დამატებით გათვალისწინებული იყო ლიფტის შახტის სამანქანო ნაწილის სართულის მოწყობა. ტიპიური სართულის სიმაღლე შეადგენს 3.3 მ-ს. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი სარდაფის სართული და პირველი სართული, რომელთა სიმაღლეც დაგეგმარებულია 3.9 მ-ის ტოლად (-3.00 მ-ნიშნულიდან, 0.00 მ-ნიშნულამდე და 0.00-მ-ნიშნულიდან, +3.90 მ-ნიშნულამდე). ამასთან, შენობის ბოლო 22-ე მიწისზედა სართული გეგმაში შემცირებული ზომისაა და გავრცელებულია შენობის გაბარიტის ნაწილზე. ეს სართული, პირვანდელი პროექტის შესაბამისად განთავსებულია 69.90 მ და 73.20 მ-ნიშნულებს შორის.

პროექტის წარმოდგენილი კორექტირებით გათვალისწინებულია ოთხი დამატებითი ტიპიური სართულის (სიმაღლით 3.30 მ) დაშენება არქიტექტურული 69.90 მ ნიშნულის ზევით (69.90 მ და 83.1 მ-ნიშნულებში). შესაბამისად, პირვანდელი პროექტით გათვალისწინებული ზემოთ აღნიშნული მცირეგაბარიტიანი სართული ანაცვლებულია 83.10 მ და 86.40 მ ნიშნულებს შორის, ხოლო ლიფტის შახტის სამანქანო ნაწილის სართული კი – 86.4 მ და 89.7 მ ნიშნულებს შორის.

პირვანდელი კონსტრუქციული პროექტის თანახმად, დაშენებას დაქვემდებარებული შენობის მიწისზედა ნაწილი კარკასულია და მისი მზიდი კარკასი განეკუთვნება ჩარჩო-კავშირიან სისტემათა ტიპს. კარკასის ჩარჩოები აქ წარმოდგენილია მონოლითური რკინაბეტონის სვეტებისა და რიგელებისაგან შედგენილი ხისტკვანძებიანი, ღეროვანი, სივრცული სისტემით. კავშირების როლში გვევლინებიან სიხისტის დიაფრაგმები და გადახურვის ფილები, რომლებიც ასევე მონოლითური რკინაბეტონისაგან არიან შესრულებულნი და ხისტად არიან დაკავშირებულნი სვეტებთან და რიგელებთან. მონოლითური რკინაბეტონისაა ასევე კიბის მარშები და ბაქნები. მიწისზედა კარკასის მზიდ ელემენტებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი. არმირება ხორციელდება ცალკეული ღეროებით. გამოყენებულია A-III და A-I კლასის არმატურა.

კარკასების შევსება ხორციელდება მცირე ზომის სამშენებლო ბლოკის არმირებული წყობით.

შენობის საძირკვლები ფილის ტიპისაა, მცირედ ჩაღრმავებული ტუმბოების ტიპის ხიმინჯებით. საძირკვლის ფილის სისქე პირვანდელი პროექტით შეადგენს 1.0 მ-ს. მის ქვეშ გამოყენებულია 10 სმ სისქის დაბალმარკიანი ბეტონის (B7.5) მომზადება. ტუმბო-ხიმინჯების სიმაღლე შეადგენს 2.5 მ-ს, ხოლო განივკვეთის ზომებია – 2.0X2.0 მ. საძირკვლის ფილაში და ტუმბო-ხიმინჯებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი. არმირება ხორციელდება A-III და A-I კლასის არმატურის ღეროებით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების შესაბამისად საძირკვლის ფილა ეფუძნება გამოფიტულ ძირითად ქანს – "თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა (ფენა 4, სგე III)" – საანგარიშო წინაღობით 6.0 კგძ/სმ^2. ტუმბო-ხიმინჯები დაყრდნობილია სუსტად გამოფიტულ ძირითად ქანებზე – "თიხოვანი ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა (ფენა 5, სგე IV)" – ერთღერძა კუმშვაზე სიმტკიცის ზღვრის მნიშვნელობით (წყალგაჯერებულ მდგომარეობაში) – R_o=32 კგძ/სმ^2. გრუნტის წყალი სამშენებლო მოედანზე არ გამოვლენილა. სამშენებლო მოედნის სეისმიურობა შეადგენს 8 ბალს.

შენობის მზიდი კარკასისი გაანგარიშებულია დაშენებასთან დაკავშირებულ გაზრდილ დატვირთვებზე და ზემოქმედებებზე. გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო კომპლექს Lira-Sapr-ის გამოყენებით. ამ მიზნით აგებულია შენობის ახალი ელექტრონული საანგარიშო მოდელი, დაშენების გათვალისწინებით, რომელიც თან ერთვის ექსპერტიზაზე წარმოდგენილ პროექტს. ნაგებობა და მისი კონსტრუქციული ელემენტები გაანგარიშებულია დატვირთვების ძირითად და

განსაკუთრებულ თანწყობაზე, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემა. საანგარიშო მოდელში გათვალისწინებული დატვირთვების მნიშვნელობები (მუდმივი, სასარგებლო, თოვლის, ქარის და სეისმური დატვირთვები) თანხვედრაშია პროექტირების ნორმების მოთხოვნებთან.

კონსტრუქციული გაანგარიშებებიდან ჩანს, რომ შენობის რიგი მზიდი კონსტრუქციები დაშენებასთან დაკავშირებული გაზრდილი დატვირთვების ზემოქმედებით გადაძაბულია და მოითხოვს გარკვეული გაძლიერების ღონისძიებების განხორციელებას. პროექტი ითვალისწინებს შემდეგ გაძლიერების ღონისძიებებს:

– საძირკვლის ფილის გაძლიერებას, რომელიც ხორციელდება მისი გასქელებით 300 მმ-ით (1300 მმ-მდე), მის თავზე დამატებითი დაბეტონების მოწყობის გზით. დამატებითი დაბეტონების ფენაში მოწყობილია ფილის ზედა შრის დამატებითი არმირების ბადე. ახალი დაბეტონების ფილის არსებულ ფილასთან კავშირი შესრულებულია სპეციალური ნაგელების მეშვეობით, რომლებიც ჩასმულია არსებულ ფილაში ქიმიური ანკერების მეშვეობით, ხოლო მეორე ბოლო დადუღებულია დამატებითი ფენის არმირების ბადის ღეროებზე. საძირკვლის ფილის გაძლიერებაში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი. არმირება ხორციელდება B500b და B240 კლასის არმატურის ღეროებით;

– მონოლითური დიაფრაგმის კედლის დამატებას ლიფტის შახტებთან, შენობის სიხისტის ასამაღლებლად. დიაფრაგმა ეწყობა, როგორც არსებულ, ასევე დაშენებულ სართულებზე. არსებულ სართულებზე ახალი დიაფრაგმის კედლისა და არსებულ მზიდ კონსტრუქციებს (სვეტები და რიგელები) შორის კავშირი ხორციელდება დიაფრაგმის არმატურის მათში ჩაანკერების გზით, ქიმიური ანკერების გამოყენებით. ახალ დიაფრაგმებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი. არმირება ხორციელდება B500b და B240 კლასის არმატურის ღეროებით;

– სვეტების გაძლიერებას -7.20–+7.20 ნიშნულებში. გაძლიერება ხორციელდება დამატებითი არსებულ სვეტებზე მიდგმული დამატებითი მონოლითური რკინაბეტონის სვეტების მოწყობის გზით. ახალი დაბეტონების კავშირი არსებულ კონსტრუქციასთან ხორციელდება მათში ქიმიური ანკერების გამოყენებით ჩასმული ნაგელების გამოყენებით. სვეტების გაძლიერების კონსტრუქციაში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი. არმირება ხორციელდება B500b და B240c კლასის არმატურის ღეროებით;

გაძლიერების ღონისძიებების გარდა, პროექტში დამატებების სახით მოცემულია დაშენებული სართულების მზიდი კონსტრუქციების (სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილები, კიბეები და სხვ.) არმირების სქემები. დაშენებული სართულების

კონსტრუქციებში გამოყენებულია B35 კლასის ბეტონი და A500c, A240c კლასის არმატურია.

შენობის კონსტრუქციული გაანგარიშების ელექტრონული საანგარიშო მოდელისა და პროექტში მიღებული გადაწყვეტების ანალიზიდან ირკვევა:

– პროექტით შერჩეული დაშენებული ნაწილის კონსტრუქციული ელემენტების განივკვეთები და მათი სიმტკიცის მახასიათებლები შესაბამისობაშია კონსტრუქციული გაანგარიშების შედეგებთან და უზრუნველყოფენ ნაგებობის სიმტკიცესა და მდგრადობას მოსალოდნელ (ნორმებით განსაზღვრულ) დატვირთვებსა და ზემოქმედებებზე;

– ასევე, პროექტში მიღებული არსებული მზიდი კარკასის ელემენტების გაძლიერების ღონისძიებები შესაბამისობაშია კონსტრუქციული გაანგარიშებების შედეგებთან და უზრუნველყოფენ შენობის სიმტკიცესა და მდგრადობას დაშენებასთან დაკავშირებულ გაზრდილ დატვირთვების მოქმედების პირობებში;

– შენობის ფუძე-გრუნტის და საძირკვლების მზიდუნარიანობა უზრუნველყოფილია გაზრდილი დატვირთვების პირობებში;

საპროექტო დოკუმენტაციის შესრულების ხარისხი დამაკმაყოფილებელია. დოკუმენტაცია შესრულებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვით და მის მიმართ ექსპერტიზას შენიშვნები არ გააჩნია.

გაანგარიშება გადამოწმებული იქნა ლიცენზირებული პროგრამა „LIRA SAPR 2016 PRO“-ში, ლიცენზია №1/5515.

დანართი – პროექტი თან ერთვის დასკვნას ელ-ვერსიით.

დასკვნა

ქ. თბილისში, მის.: საირმის ქ. №51-ში მდებარე მრავალფუნქციური კომპლექსის IV ბლოკზე დაშენების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი პასუხობს მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს. პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება და რეკომენდაცია განხორციელებისათვის.

იხ. კვლევითი ნაწილი

ინსპექტირების ანგარიში შეადგინა:

ინსპექტორი: /ა. ნატროშვილი /

ანგარიში გადაამოწმა: /ა. წაქაძე/

ინსპექტირების ანგარიში ტექნიკურად გადაამოწმა:

ტექნიკური მენეჯერი: /დ. ტაბატაძე/

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციულად გადაამოწმა:

ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელი: /ა. ჭიპაშვილი/

KA990154623612421

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო
-აკრედიტაციის ცენტრი

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

LEPL NATIONAL BODY OF ACCREDITATION
ACCREDITATION CENTER

0186, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა

42[a] Al. Kazbegi Ave, 0186, Tbilisi, Georgia

Tel: + 995 2 19 22 33
Fax: + 995 2 39 93 48;
E-mail: gac@gac.gov.ge

№ GAC-03/106

10 / თებერვალი / **2021** წ.

შპს „მშენ-ექსპერტი +"-ს A - ტიპის ინსპექტირების ორგანოს

გიგზავნით, სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი"-ს გენერალური დირექტორის 2021 წლის 09 თებერვლის № 06/27 განკარგულებას, აკრედიტაციის მოწმობას და თანდართულ აკრედიტაციის სფეროს.

დანართი: აკრედიტაციის მოწმობა, სფერო და განკარგულება.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი“

განკარგულება

KA990108174596221

№ **06/27** 09 / თებერვალი / 2021 წ.

შპს „მშენ-ექსპერტი +“-ს A - ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის მინიჭების თაობაზე

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 99-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის N01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესების და პროცედურების" საკ 1.1:2020 - „აკრედიტაციის საერთო წესები და პროცედურები“-ს მე-10 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, საკ 1.7:2020 "წესები და პროცედურები ინსპექტირების ორგანოების სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე აკრედიტაციისათვის“ და საკ 1.10:2020 – „აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული შშო-ების რეესტრის წარმოების წესი“-ის მე-3 მუხლის საფუძველზე,

1. შპს „მშენ-ექსპერტი+“-ს A-ტიპის ინსპექტირების ორგანო დადებითად შეფასდეს საქართველოს სტანდარტთან ისო/იეკ 17020:2012/2013 შესაბამისობაზე და მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. გაიცეს აკრედიტაციის მოწმობა თანდართულ აკრედიტაციის სფეროსთან ერთად.

3. შესაბამისი ინფორმაცია შეტანილ იქნას აკრედიტებული შშო-ების რეესტრში და გამოქვეყნდეს აკრედიტაციის ცენტრის ვებგვერდზე www.gac.gov.ge.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მის. ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. N2) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. აკრედიტაციის კომიტეტის 2021 წლის 05 თებერვლის გადაწყვეტილება.
2. აკრედიტაციის სამსახურის უფროსის ნესტან მგელაძის 2021 წლის 08 თებერვლის **№ 80-04/GAC** მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნათია მიქელაძე

აკრედიტაციის მოწმობის ნომერი GAC-IB-0350
განკარგულება № 06/27
თარიღი: 09.02.2021 წელი

„ვამტკიცებ“
აკრედიტაციი ცენტრის გენერალური დირექტორი
ნათია მიქელაძე



A ტიპის ინსპექტირების ორგანოს აკრედიტაციის სფერო

შპს „მშენ-ექსპერტი+“

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, გუდარეხის შესახვევი №23;
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, გიორგი მიროტაძის ქ. №6;

1	2	3	4
1	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ინსპექტირება.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება დადგენილ მოთხოვნებთან, სამუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР) სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР) სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი – მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. B-F – TP-G01- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
2	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ინსპექტირება.	ობიექტის ხარჯთაღრიცხვის შესაბამისობის შეფასება: • დადგენილ მოთხოვნებთან, სამუალო საბაზრო ფასებთან და საჭიროების შემთხვევაში პროექტთან; • კონკრეტული მომწოდებლის რესურსებთან და შესაძლებლობებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV -82); 2. ერთიანი ნორმები და ფასები - (ЕНиР) 3. (ВНиР)-სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები; 4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი – მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი -„სამშენებლო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადგენის შეთოდიკა" (საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 სექტემბერი, დადგენილება №439) 8. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 9. B-F – TP-G02 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
3	ობიექტზე შესრულებული სამუშაოების ინსპექტირება (მათ შორის ფორმა N2-ის მიხედვით).	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის შეფასება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. ერთიანი ნორმები და ფასდებები -(ЕНиР) 3. (ВНиР) სამშენებლო სამუშაოების უწყებრივი ნორმები;

		მოთხოვნებთან, შესყიდვების დოკუმენტებთან, მშენებლობის დროისათვის არსებულ საშუალო საბაზრო ფასებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერებისა (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან;	4. (ВЗЕР)-სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების ზონალური ერთეული ნორმების კრებული; 5. (ССН)-ისტორიული და კულტურის ძეგლების სარესტავრაციო აღდგენითი სამუშაოების ნორმები და წესები; 6. სამშენებლო რესურსების ფასები (სრფ), გამომცემელი – მშენებლობის შემფასებელთა კავშირი (მშკ); 7. ტექნიკური რეგლამენტი – სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის დადგენილება N55); 8. B-E - TP-G03- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები
4	ობიექტის შენობების, ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საკვლევი ბურღვის, აკრიდირების, ლუქსტრიფიცირების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია გაგრილების ქსელების და სისტემების, წყლის და წყალარინების ქსელების და სისტემების. გაზის ქსელებისა და სისტემების პირველადი ინსპექტირება - ექსპლუატაციაში მიღების წინა ინსპექტირება. პერიოდული ინსპექტირება დაბინძურების მოთხოვნით. ზღვარი: საშუალო და დაბალი წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები წნევა 0 კგ/სმ² დან - 0,005 კგ/სმ² - ჩათვლით. • საშუალო წნევის, მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 0,005 კგ/სმ²-დან - 3 კგ/სმ²-ჩათვლით.	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: არსებული ობიექტის მდგომარეობის შესაბამისობის შეფასება საპროექტო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან, ფარულ სამუშაოთა აქტებთან, ობიექტის ვიზუალური დათვალიერების (ფოტოფიქსირების ჩათვლით), აზომვებისა და გაზომვების შედეგებთან და შესაბამისობის შეფასების დოკუმენტებთან, მათ შორის ლაბორატორიული, ურღვევი კონტროლის მეთოდებით, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევების შედეგებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 2); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N41 დადგენილება); 5. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N41; 6. Правила устройства электроустановок (ПУЭ); 7. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება N434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 8. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციის უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 9. ტექნიკური რეგლამენტი „ხანძარსაშიში უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 10. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 11. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი);

	• მეორე კატეგორიის მაღალი წნევის მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 3 კგ/სმ² -დან - 6 კგ/სმ²-ჩათვლით. • პირველადი კატეგორიის მაღალი წნევის მიწის ზედა და მიწის ქვედა გაზსადენები, წნევით: 6 კგ/სმ²-დან - 12 კგ/სმ²-ჩათვლით) ტექნიკური მდგომარეობის, შეხორცებული სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების ინსპექტირება.		12. ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება; 13. B E TP G04- ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
5	ობიექტის (შენობების, ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების, ელექტროქსელების და სისტემების (1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით), სუსტი დენების, გათბობა-ვენტილაცია-გაგრილების ქსელების და სისტემების, წყლის და წყალარინების ქსელების და სისტემების, და სხვა ხაზობრივი ნაგებობების) სამშენებლო სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობა – ინსპექტირება	ინსპექტირების ამოცანიდან გამომდინარე: ობიექტის სამშენებლო, სარემონტო, სამონტაჟო, სადემონტაჟო, სარეკონსტრუქციო, სარესტავრაციო სამუშაოების პროცესზე დასწრება/დაკვირვება და შესაბამისობის შეფასება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი IV); 2. სამშენებლო ნორმები და წესები (СНиП - ნაწილი 3); 3. Правила устройства электроустановок (ПУЭ); 4. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014წ. 27 ივნისის დადგენილებაში №361); 5. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება N71); 6. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „ გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის. გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 7. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N41 დადგენილება); 8. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის დადგენილება N41); 9. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო-სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ) (საქართველოს მთავრობის დადგენილება №434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 10. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ"

			(საქართველოს მთავრობის დადგენილება N340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 11. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 12. ტექნიკური რეგლამენტი: „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" (საქართველოს მთავრობის N101 დადგენილება 2014 წლის 22 იანვარი); 13. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი); 14. ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება; 15. B-E – TP-G05 ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.
6	სამშენებლო ობიექტის პროექტის: • საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის/დასკვნის; • არქიტექტურული ნაწილის; • კონსტრუქციული ნაწილის (შენობების და ნაგებობების, ხიდების, გვირაბების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, საავტომობილო გზების, აეროდრომების და სხვა ხაზობრივი ნაგებობების); • საინჟინრო ქსელების: (ელ. მოძარაგება 1000 ვ-მდე და 1000 ვ-ს ზევით, სუსტი დენები და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; • საინჟინრო ქსელების: წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალარინება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი;	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაცია: ობიექტის პროექტის ნაწილების შესაბამისობის დადგენა ტექნიკურ დავალებასთან ან/და დადგენილ მოთხოვნებთან.	1. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 1); 2. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 2); 3. სამშენებლო ნორმები და წესები -(СНиП-ნაწილი 3); 4. საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილებაში N71); 5. საქართველოს ეროვნული სტანდარტი სსტ 72:2009 „გზები საავტომობილო და საერთო სარგებლობის, გეომეტრიული და სტრუქტურული მოთხოვნები"; 6. ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო სადგურებისა და ქსელების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N434, 2013 წლის 31 დეკემბერი); 7. ტექნიკური რეგლამენტი: „ ელექტრო დანადგარების ექსპლუატაციისას უსაფრთხოების წესების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N 340, 2013 წლის 17 დეკემბერი); 8. Правила устройства электроустановок (ПУЭ) издание 6; 9. ტექნიკური რეგლამენტი - „სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ" - საქართველოს მთავრობის დადგენილება N370; 10. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N41 დადგენილება); 11. ტექნიკური რეგლამენტი (საქართველოს მთავრობის 2016 წლის

• საინჟინრო ქსელების: ვენტილაცია, კონდიცირება, გათბობა და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; • საინჟინრო ქსელების: გაზმომარაგება და მათი ტექნოლოგიური ნაწილი; • შრომის უსაფრთხოების ნაწილის (მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი); • სახანძრო უსაფრთხოების ნაწილის მოქმედ დოკუმენტებთან შესაბამისობის შეფასება/ინსპექტირება.	28 იანვარის დადგენილება N41); 12. ტექნიკური რეგლამენტი: „მაგისტრალური გაზსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციის შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257, 2014 წლის 26 მარტი); 13. ტექნიკური რეგლამენტი „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის N101 დადგენილება; 14. ტექნიკური რეგლამენტი: „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ" (საქართველოს მთავრობის დადგენილება,#361, 2014 წლის 27 მაისი); 15. ტექნიკური რეგლამენტი: " სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები" (მთავრობის დადგ.#477,27.10.2017) 16. B E – TP-G06 - ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები.

შენიშვნები/REMARKS

03

თანამდებობის პირის ხელმოწერა
SIGNATURE OF ISSUING OFFICER

მფლობელის ხელმოწერა
HOLDER'S SIGNATURE

საქართველო

Georgia

პასპორტი PASSPORT



ტიპი TYPE **P**

ქვეყნის კოდი CODE OF STATE **GEO**

პასპორტი / PASSPORT
09AP57964

გვარი / SURNAME
ნატროშვილი / NATROSHVILI

სახელი / GIVEN NAME
ალექსანდრე / ALEKSANDRE

მოქალაქეობა / CITIZENSHIP
საქართველო / GEORGIA

დაბადების თარიღი / DATE OF BIRTH
15 ივნ / JUN 1963

პირადი ნომერი / PERSONAL NUMBER
01009007964

სქესი / SEX
მმ / M

დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
თბილისი / TBILISI

გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
13 აგვ / AUG 2009

მოქმედების ვადა / EXPIRY DATE
13 აგვ / AUG 2019

ხელისუფლების ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო / MINISTRY OF JUSTICE
ვაკე / VAKE

P<GEONATROSHVILI<<ALEKSANDRE<<<<<<<<<<<<<<<<

09AP579649GE06306151M1908136010090079 64<<<42

დიპლომი

წარჩინებით

ИВ № 257429

ეს დიპლომი მიეცა ალექსანდრე სოლომონის ძე ნატროშვილს

მასზე, რომ იგი 1980 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1985 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1985 წ. „4" ივლისის გადაწყვეტილებით ა.ს. ნატროშვილს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

ბ. ა.

მდივანი

ქალაქი თბილისი 1985 წ. „14" XI

სარეგისტრაციო № 3282

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

ИВ № 257429

Настоящий диплом выдан Натрошвили Александру Соломоновичу

в том, что он в 1980 году поступил в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1985 году окончил полный курс названного института

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „4" июля 1985 г.

Натрошвили А.С.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „14" XI 1985 г.

Регистрационный № 3282

Московская типография Гознака. 1981.

CURRICULUM VITAE

გვარი: ნატროშვილი

სახელი: ალექსანდრე

დაბადების თარიღი: 15/06/1963წ

ეროვნება: ქართველი

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული

განათლება:

სასწავლებელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პერიოდი: დასაწყისი (თვე / წელი): დამთავრება (თვე / წელი):	1986 – 1989
მიღებული ხარისხი (ები) ან დიპლომი (ები)	ინჟინერ-მშენებელი (ასპირანტი) სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა
სასწავლებელი	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
პერიოდი: დასაწყისი (თვე / წელი): დამთავრება (თვე / წელი):	1980 – 1985
მიღებული ხარისხი (ები) ან დიპლომი (ები)	ინჟინერ-მშენებელი. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა

ენების ცოდნა: (შეაფასეთ ცოდნის ხარისხი 1 დან 5 -მდე, სადაც 5 არის უმაღლესი)

ენა	*კითხვა*	*მეტყველება*	*წერა*
ქართული	5	5	5
რუსული	5	5	5
ინგლისური	3	3	3
გერმანული	4	4	4

სხვა უნარ-ჩვევები (მაგ. კომპიუტერის ცოდნა და ა.შ.): MC Office, AutoCad

პროფესიული გამოცდილება:

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2010-დან დღემდე
ადგილი:	აბაშიძის ქ.№75, ბ.6, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს „ლ.დ.იუნიონ”
თანამდებობა:	საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2011 წლის ნოემბრიდან დღემდე
ადგილი:	აბაშიძის ქ.№75, ბ.6, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს „ლაინკუბი”
თანამდებობა:	მთავარი კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2007 წლის სექტემბრიდან 2011 წლის სექტემბრამდე
ადგილი:	ვაჟა-ფშაველას გამზ.50, 0183, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს „ინდასტრი კომპანი”
თანამდებობა:	საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება და საინჟინრო საქმიანობა

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2007 წლის იანვრიდან 2007 წლის დეკემბრამდე
ადგილი:	ალ. ყაზბეგის გამზ.2ა, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს „ალიონი 99”
თანამდებობა:	საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება და საინჟინრო საქმიანობა

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2005 წლის სექტემბრიდან 2007 წლის სექტემბრამდე
ადგილი:	ვაჟა-ფშაველას გამზ.50, 0183, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს „ინდასტრი კომპანი”
თანამდებობა:	საპროექტო ჯგუფის ხელმძღვანელი, მთავარი კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება და საინჟინრო საქმიანობა

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2005 წლის მარტიდან 2005 წლის აგვისტომდე
ადგილი:	ერისთავის ქ.9, 0179, თბილისი, საქართველო
კომპანია:	UNDP
თანამდებობა:	საინჟინრო პროექტირების ექსპერტი-კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულების რეკონსტრუქციის სამუშაოების ზედამხედველობა

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2004 წლის მარტიდან 2005 წლის მარტამდე
ადგილი:	ჩხეიძის ქ.38, თბილისი, საქართველო
კომპანია:	ევროპის კომისიის დელეგაცია
თანამდებობა:	საინჟინრო პროექტირების ექსპერტი-კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	საქართველოს პენიტენციალური სისტემის ეროვნული ინფრასტრქტურის სტრატეგიის მხარდაჭერა

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2003წ-2004წ მარტი
ადგილი:	მარჯანიშვილის მოედანი, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს **“RED LINE”**
თანამდებობა:	საპროექტო სამუშაობის მთავარი ინჟინერი, კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	2001-2002
ადგილი:	ზაქარიაძის ქ, თბილისი, საქართველო
კომპანია:	შპს **“WERTEX”**

თანამდებობა:	საპროექტო სამუშაობის მთავარი ინჟინერი, კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	1990-2001
ადგილი:	კოსტავას ქ.72, თბილისი, საქართველო
კომპანია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თანამდებობა:	ლექტორი, კონსტრუქციების ტექნიკური დიაგნოსტიკის და გამოცდის დეპარტამენტში
სამუშაოს აღწერილობა:	სტუდენტების სწავლება, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	1987-1990
ადგილი:	კოსტავას ქ.72, თბილისი, საქართველო
კომპანია:	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საპროექტო ბიურო "მშენებელი"
თანამდებობა:	ინჟინერ-კონსტრუქტორი
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება

თარიღი: დასაწყისი (თვე / წელი) დამთავრება (თვე / წელი)	1985-1987
ადგილი:	მარჯანიშვილის მოედანი, თბილისი, საქართველო
კომპანია:	სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი "თბილქალაქპროექტი"
თანამდებობა:	ინჟინერი, მშენებლობის ორგანიზაციის და დაგეგმვის განყოფილება
სამუშაოს აღწერილობა:	პროექტირება

რეალიზებულ პროექტებში მონაწილეობა

მდებარეობა	*აღწერილობა*
თბილისი	საცხოვრებელი სახლები და ბინები
რუსთავი	№6 კოლონია (პენიტენციალური სისტემა) 2005 წ.
თბილისი, ქუთაისი	საპყრობილის შენობები (პენიტენციალური სისტემა) 2005-2006წ.წ.
ლაგოდეხი	საბაჟო-გამშვები პუნქტი 2007წ.
დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო	სასაზღვრო საგუშაგოები 2007წ.
ბათუმი	ლუდის რესტორანი „კაიზერი“2007წ.
საქართველო	კომპანია „SOCAR“-ის ბენზინგასამართი სადგურები 2008წ.
სიღნაღი	სასტუმრო 40 ვიზიტორზე. 2008წ.
თბილისი	ცსლ-ის საკონტროლო-გამშვები შენობის პროექტირება 2009წ.
თბილისი	საკონფერენციო დარბაზი, ელიავას სახელობის ინსტიტუტში 2009წ.
სიღნაღი	საქართველოს გაქრისტიანების მუზეუმი 2009წ.
ახალციხე	ვეტერინარული სამხარეო დიაგნოსტიკური ლაბორატორია 2009წ.
თბილისი, კრწაისის ქ.№29	საცხოვრებელი სახლი 2009წ.
თბილისი, კრწაისის ქ.№27	საცხოვრებელი სახლი 2009წ.
ქ. ქუთაისი	ქუთაისის ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის საპროექტო დოკუმენტაცია 2010 წ.
წყალტუბო	სათაფლიას ნაკრძალის ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები 2009 წ.
თბილისი	აზერბაიჯანის საელჩოს შენობა საქართველოში 2009-2010წ.წ.
დედოფლისწყარო	შსს რაიონული სამმართველო 2010წ.
ოზურგეთი	შსს რაიონული სამმართველო 2010წ.
ყვარელი	შსს რაიონული სამმართველო 2011წ.
ახმეტა	შსს რაიონული სამმართველო 2011წ.
	შ.ს.ს. პოლიციის ტიპიური განყოფილებები. (10, 15, 22 და 28 თანამშრომელზე). 2010-2011წ.წ.
მესტია	ქ.მესტიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის რაიონული სამმართველოს ახალი ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის

მდებარეობა	*აღწერილობა*
	პროექტირება 2011წ.
სუფსა, ბათუმი, გონიო, ფოთი, ჩაქვი	წინასწარი შეფასება და საინჟინრო კვლევების მომსახურება სუფსაში, ბათუმში, გონიოში, ფოთსა და ჩაქვში. 2011წ.
წყალტუბო	"პრომეთეს" მღვიმის საწყალოსნო ტურისტული მარშრუტის მონაკვეთის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება 2011წ.
ბორჯომი	საფეხმავლო დეკორატიული ხიდის პროექტირება, შეფასება და საპროექტო ზედამხედველობის სამუშაოები 2011წ.
ხონი	ხონის მუნიციპალიტეტში ოკაცეს კანიონის ინფრასტრუქტურის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2011წ.
მარტვილი	მარტვილის მუნიციპალიტეტში ოკაცეს კანიონის ინფრასტრუქტურის საპროექტო სახარჯთახრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2012წ.
მარნეული	მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძველი ნაგავსაყრელის კეთილმოწყობის, ახალი ნაგავსაყრელის და ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამზადება; 2011წ. მაისი-ივლისი
მირზაანი	ნიკო ფიროსმანის სახელობის მუზეუმის რეკონსტრუქციის და ინფრასტრუქტურის განვითარება 2012წ.
ვაშლოვანი	მრავალფუნქციური სადგურის (მდებარე ვაშლოვანის ეროვნულ პარკში) სრული საპროექტო დოკუმენტაცია 2012წ.
თუშეთი	პანორამული გადასახედი პლატფორმის სრული საპროექტო დოკუმენტაცია 2013წ.
ლაგოდეხი	ნაკრძალის ადმინისტრაციული შენობის საპროექტო სამუშაოები 2014წ.
იმერეთი	კაცხის სვეტის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება 2014წ.
ბორჯომი-ხარაგაული და ლაგოდეხი	ბორჯომი-ხარაგაულის და ლაგოდეხის ეროვნული პარკების და დაცული ტერიტორიების სრული საპროექტო სამუშაოები 2012წ.
გორი, ახალციხე, ამბროლაური, ზუგდიდი, თელავი, მცხეთა, ოზურგეთი და ქუთაისი	არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2013წ.აგვისტო-ოქტომბერი.

მდებარეობა	*აღწერილობა*
დუშეთი, თერჯოლა, კასპი, ლაგოდეხი, მარნეული., საგარეჯო, სამტრედია, საჩხერე, ფოთი, წნორი, ხაშური	არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2014წ. მაისი-ივლისი
ბოლნისი, დედოფლისწყარო და ნინოწმინდა	არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2014წ. ოქტომბერი-ნოემბერი
თბილისი	ოლიმპიური საცურაო აუზის აბაზანების კონსტრუქციული ნაწილი 2015წ.
თბილისი	ოლიმპიური სახელბურთო სპორტული კომპლექსის, ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა, პროექტი. 2015წ.
ასპინძა, ჩოხატაური, დმანისი, ონი, სტეფანწმინდა, თიანეთი	არსებული ნაგავსაყრელების კეთილმოწყობისა და ექსპლოატაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2015წ. მარტი-მაისი.
ჭიათურა, აბაშა, ჩხოროწყუ, ლანჩხუთი, მანგლისი, მაწევანი, მცხეთა, ქარელი, სენაკი, წალენჯიხა, ხარაგაული, ხობი, ხონი, ზესტაფონი	არსებული ნაგავსაყრელების დახურვის და რეკულტივაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2015წ. მარტი-მაისი.
ურეკი, ბაკურიანი, ყვარელი	არსებული ნაგავსაყრელების დახურვა-რეკულტივაციის და ნარჩენების გადამზიდი პლატფორმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2015წ. მარტი-მაისი.
რუსთავი	არსებული ნაგავსაყრელის მოქმედი უჯრედის დახურვა-რეკულტივაციის, ახალი უჯრედის მოწყობის და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2015 წ. სექტემბერი-ნოემბერი
თბილისი	11-სართულიანი საცხოვრებელი სახლების პროექტის კონსტრუქციული ნაწილები, დიდ-დიღომში 2016 წ.
ლაგოდეხი	ლაგოდეხის თეატრის შენობის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები. 2016 წ.
ბათუმი	მრავალფუნქციური ორდარბაზიანი სპორტული კომპლექსის პროექტორება 3000 მაყურებელზე 2017 წ.

მდებარეობა	*აღწერილობა*
გორი	მრავალფუნქციური ორდარბაზიანი სპორტული კომპლექსის პროექტორება 2000 მაყურებელზე 2017 წ.
თელავი	მრავალფუნქციური ორდარბაზიანი სპორტული კომპლექსის პროექტორება 2000 მაყურებელზე 2017 წ.
თბილისი	შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის საინჟინრო სისტემების რეკონსტრუქციის პროექტირება 2017 წ.